ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

2021 წელი 3 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2021 წლის 3 დეკემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული მე-7 მოწვევის საკრებულოს პირველი მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა:

საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე სიმონ ჭოლოკავა, შალვა მშვილდაძე, შადიმან გორგოძე, მურადი ბურჯანაძე, დიომიდე კიკნაველიძე, ვლადიერ წიქორიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ზაზა ზივზივაძე, გურამ ჩხეიძე, მაკა მესხი, ირინა ტყეშელაშვილი, მაია კბილაშვილი, გვანცა გრძელიძე, ირაკლი გოგსაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, ნინო კვირიკაძე, კახა კოხოძე, ჯუმბერ რობაქიძე, ზვიად გუმბერიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი

სულ 26 საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდა: ალექსანდრე ფახურიძე- კოვიდ იზოლაციაში ყოფნის გამო.

მუნიციპალიტეტის მერი-კახა ენუქიძე

ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები.

სხდომა გახსნა N 52 ბაღდათის საოლოქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, არჩილ სიგუნავამ, რომელმაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს წევრებს წარუდგინა პირველი სხდომის წამყვანი, საკრებულოს უხუცესი წევრი გურამ ჩხეიძე, რომელმაც საკრებულოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო პირველი სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1.N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება 2021 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ.

მომხს. არჩილ სიგუნავა- N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2.ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

მომხს. სხდომის წამყვანი საკრებულოს უხუცესი წევრი

3.სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

მომხს. სხდომის წამყვანი საკრებულოს უხუცესი წევრი

4 ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს. სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხს. სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე

6. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112

დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს. ნოდარ ებანოიძე- საკრებულოს აპარატის უფროსი

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება.

მომხს. სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე

8.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. სხდომის წამყვანი საკრებულოს უხუცესი წევრი

9.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე

10.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე

11.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე

12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობის შესახებ.

მომხს. ფრაქციის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი

13.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე

14. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე

15.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე;

16.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

მომხ. საკრებულოს თავმჯდომარე

17.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე.

დღის წესრიგი მიღებული იქნა:
მომხრე - 20; წინააღმდეგი-0;

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია 6 საკრებულოს წევრს:

ა) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს (ვლადიმერ წიქორიძეს, მაკა მესხს, იოსებ კვირიკაშვილს, ნინო ფურცელაძეს, ჯუმბერ რობაქიძეს, ზვიად გუმბერიძეს).

მოისმინეს 1. N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება 2021 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ.

მოხსენება 2021 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნების შედეგების თაობაზე საკრებულოს სხდომას წარუდგინა, N 52 ბაღდათის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩილ სიგუნავამ.

ა. სიგუნავას მოხსენება არჩევნების შედეგების შესახებ საკრებულომ მიიღო ცნობად

მოისმინეს 2. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ საკრებულოს როგორც ხმის დამთვლელი დროებითი კომისია, ასევე სამანდატო დროებითი კომისია აირჩევა სამი საკრებულოს წევრის შემადგენლობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატები.

აზრი გამოთქვა:

ნოდარ გიორგიძემ -საკრებულოს წევრი ქართული ოცნებიდან - მან საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად დაასახელა საკრებულოს წევრები: გიორგი კოტორეიშვილი, თეა გოგნაძე და დიომიდე კიკნაველიძე. სხვა წინადადება სხდომაზე არ შემოსულა.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 66 03.12.2021წ.(განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა (კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 6 წევრი, „გახარია-საქართველოსათვის“- ნინო კვირიკაძე)

მოისმინეს 3. სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ.

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ წიქორიძემ - საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - მან საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობაში დაასახელა მაკა მესხის კანდიდატურა, ხოლო ქართული ოცნების მხრიდან დასახელებული იქნა შემდეგი საკრებულოს წევრები: გვანცა გრძელიძე, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე სხდომაზე სხვა წინადადება არ შემოსულა. იმის გათვალისწინებით, რომ კომისიაში დასახელდა 4 კანდიდატურა, სხდომის თავმჯდომარემ კომისიაში ასარჩევ წევრებს პერსონალურად უყარა კენჭი, რის შედეგად საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიაში ხმათა უმრავლესობით არჩეული იქნენ: გვანცა გრძელიძე, ირინა ტყეშელაშვილი და თორნიკე გაჩეჩილაძე.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 67 03.12.2021წ.(განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 19 წინააღმდეგი - 6 (ვლადიმერ წიქორიძე, მაკა მესხი, ზვიად გუმბერიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ნინო ფურცელაძე, ჯუმბერ რობაქიძე).

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა (კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ნინო კვირიკაძემ)

სამანდატო დროებითი კომისიას არჩევისთანავე გადაეცა დოკუმენტაცია საკრებულოს ფრაქციების: „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რეგისტრაციის თაობაზე, ასევე მასალები N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიიდან საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 30 წუთი.
სხდომა გაგრძელდა შესვენების შემდგომ.
საკრებულოს წევრთა რეგისტრაციის შემდეგ ახლად არჩეულმა დროებითი კომისიების თავმჯდომარეებმა (გიორგი კოტორეიშვილმა და გვანცა გრძელიძემ) საკრებულოს სხდომას მოახსენეს კომისიის პირველი სხდომის შედეგები:

მოისმინეს 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამანდატო დროებითმა კომისიამ განიხილა N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ახლად არჩეული საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ცნობილი უნდა იქნეს არჩეული 27-ვე საკრებულოს წევრის.
გ. გრძელიძემ კომისიის დასკვნა გააცნო სხდომას და საკრებულოს წევრებისაგან მოითხოვა კომისიის გადაწყვეტილების დამტკიცება.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 68 03.12.2021წ. (განკარგულებები თან ერთვის)

მომხრე- 26 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
როგორც საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, საკრებულომ ასევე უნდა ცნოს მე-7 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 69 03.12.2021წ. (განკარგულებები თან ერთვის)

მომხრე- 26 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 საკრებულოს წევრმა

სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. გრძელიძემ სხდომას ასევე გააცნო კომისიის გადაწყვეტილება ფრაქციათა დაფუძნებისა და რეგისტრაციის შესახებ და აღნიშნა, რომ ფრაქციათა მიერ წარმოდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საკრებულოს წევრებისაგან მოითხოვა კომისიის გადაწყვეტილება მიიღონ ცნობად.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

ცნობად იქნეს მიღებული საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნა, საკრებულოს ფრაქციების: „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაფუძნებისა და მათი რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს 6. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხის განხილვის დაწყებამდე აზრის გამოთქვა:

ნინო კვირიკაძე - საკრებულოს წევრი „გახარია-საქართველოსათვის“, მან აღნიშნა, რომ „ძალთა ბალანსი ამ საკრებულოში აშკარაა, ქართული ოცნების ქმედება კლასიკური მაგალითია გადაწყვეტილებების ერთპიროვნული მიღებისა.“ ამ განცხადების შემდეგ ნ. კვირიკაძემ პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომათა დარბაზი.

ვლადიმერ წიქორიძე - საკრებულოს წევრმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ- ვლადიმერ წიქორიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ფრაქციას მიზანშეუწონლად მიაჩნია საკრებულოს რეგლამენტში შეტანილი იქნეს ცვლილება ისე, რომ არ იქნეს განხილული საკრებულოს შესაბამის კომისიაში. მისი განმარტებით უნდა შექმნილიყო დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებდა შესაბამის ცვლილებას და ამის შემდგომ განეხილა საკრებულოს სხდომას.
ვ. წიქორიძის მოსაზრებასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ნოდარ ებანოიძემ და საკრებულოს წევრმა გვანცა გრძელიძემ განმარტეს, რომ საკრებულომ დღის წესრიგის დამტკიცებისას მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი ფორმითა და შინაარსით განეხილათ საკითხი, რომ არსებული ცვლილებები განმეორება არის საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, შეტანილი ცვლილებებისა, რათა შინაარსობრივად შესაბამისობაში ყოფილიყო საკრებულოს რეგლამენტი და თვითმმართველობის კოდექსი. ამასთან, როგორც მათ განმარტეს წარმოდგენილი ცვლილებები არ ითვალისწინებდა დამატებით ისეთი წესების შემოღებას, რომელიც თვითმმართველობის კოდექსით უნდა ასახულიყო საკრებულოს რეგლამენტში. მათ შესთავაზეს ვ. წიქორიძეს და საკრებულოს წევრებს მოეხდინათ შესატანი ცვლილებების მუხლობრივი განხილვა. რაზედაც უარი განაცხადეს ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და განაცხადეს, რომ ისინი პროტესტის ნიშნად ტოვებდნენ სხდომას და მონაწილეობას არ მიიღებდნენ სხდომის დღის წესრიგით დარჩენილი საკითხების განხილვაში და დატოვეს სხდომის დარბაზი. მათ პროტესტს შეუერთდა საკრებულოს წევრი : კახა კოხოძე - „ლელო“.
სხდომაზე დარჩენილმა საკრებულოს 18 წევრმა გააგრძელა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 19 03.12.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

მომხრე - 18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება.

სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ და საკრებულოს აპარატის უფროსმა ნოდარ ებანოიძემ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფრაქციათა

შემადგენლობისა და საკრებულოს თავისუფალი წევრების გათვალისწინებით სხდომაზე წარმადგინეს საკრებულოს წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 70 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე - 18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს იმის თაობაზე, რომ ცხადდებოდა შესვენება 30 წუთი, რათა წარმოედგინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა და დამტკიცებული კვოტების შესაბამისად ფრაქცია „ქართულ ოცნებას" კომისიათა შემადგენლობაში ფრაქციის წევრები.

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მოახდინა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრების რეგისტრაცია (რეგისტრაცია გაიარა 18 საკრებულოს წევრმა) და მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატურა.

მოისმინეს 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

გურამი კიკნაველიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება" ფრაქციის წევრი, მან საკრებულოს წევრებთან გია სახამბერიძესთან და სიმონ ჭოლოკავასთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარადგინეს საკრებულოს წევრის ნოდარ გიორგიძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა სხდომაზე არ დასახელებულა. ნ. გიორგიძემ თანხმობა განაცხადა კენჭი ეყარა აღნიშნულ თანამდებობაზე. ნ. გიორგიძის კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 18-ვე საკრებულოს წევრმა.
ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კოტორეიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის მიცემის პროცედურა.
სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადდა შესვენება ფარული კენჭყრის მოსამზადებლად.

შესვენების შემდეგ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეული იქნა **ნოდარ გიორგიძე** და მოითხოვა კენჭისყრის შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 02.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 71 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

ნოდარ გიორგიძე-საკრებულოს თავმჯდომარე, მან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს სხდომას, თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად წარუდგინა საკრებულოს წევრის გურამ კიკნაველიძის კანდიდატურა და მიმართა ხმის დამთვლელ კომისიას ჩაეტარებინათ ფარული კენჭისყრა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება ფარული კენჭისყრისათვის.

შესვენების შემდეგ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენწისყრის შედეგები, რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩეული იქნა **გურამი კიკნაველიძე** და მოითხოვა კენჭისყრის შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 03

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 72 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 10. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა საკრებულოს წევრის **გია სახამბერიძის** კანდიდატურა და მიმართა ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ჩაეტარებინათ ფარული კენჭისყრა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება ფარული კენჭისყრისათვის.

შესვენების შემდეგ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეული იქნა **გია სახამბერიძე** და მოითხოვა კენჭისყრის შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 04

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 73 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 11. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ ნ. გიორგიძემ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია აირჩიონ საკრებულოს თავმჯდომარის მეორე მოადგილე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა საკრებულოს წევრის **სიმონ ჭოლოკავას** კანდიდატურა და მიმართა ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ჩაეტარებინათ ფარული კენჭისყრა.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება ფარული კენჭისყრისათვის.

შესვენების შემდეგ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეული იქნა **სიმონ ჭოლოკავა** და მოითხოვა კენჭისყრის შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 05

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 74 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობის შესახებ.

საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. გრძელიძემ აღნიშნა, რომ შესვენების პერიოდში სამანდატო დროებით კომისიაში საკრებულოს კომისიებში წევრები წარმოადგინა მხოლოდ საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ", სამანდატო დროებითი კომისიის მიერ შემოწმებული იქნა ფრაქციის მიერ კომისიებში წევრთა წარდგენის სისწორე, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ კვოტებს და მოითხოვა ცნობად მიეღო საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის ინფორმაცია საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების „ მიერ წარდგენილი წევრების შემადგენლობა.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

ცნობად იქნეს მიღებული საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის ინფორმაცია საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების **(იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია, ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისი**ა, **გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისია, კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია**) წევრთა შემადგენლობის შესახებ (ფრაქცია „ქართული ოცნება" ფრაქციის მიერ წარდგენილი კომისიის წევრების სახელობითი სია თან ერთვის).

მოისმინეს 13. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება", ფრაქციის თავმჯდომარემ მაია კბილაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ ფრაქციის სახელით დაასახელა, საკრებულოს წევრის **გვანცა გრძელიძის** კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა სხდომაზე არ დასახელებულა.

ფარული კენჭისყრის გასამართად სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

შესვენების შემდეგ საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად **საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გვანცა გრძელიძე** და მოითხოვა შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 06

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 75 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს 14. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება" ფრაქციის თავმჯდომარემ მაია კბილაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ ფრაქციის სახელით დაასახელა, საკრებულოს წევრის **ზაზა ზივზივაძის** კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა სხდომაზე არ დასახელებულა.

ფარული კენჭისყრის გასამართად სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
შესვენების შემდეგ საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის **თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ზაზა ზივზივაძე** და ითხოვა შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 07

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 76 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს: 15. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება" ფრაქციის თავმჯდომარემ მაია კბილაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ ფრაქციის სახელით დაასახელა, საკრებულოს წევრის **თორნიკე გაჩეჩილაძის** კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა სხდომაზე არ დასახელებულა.

ფარული კენჭისყრის გასამართად სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
შესვენების შემდეგ საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად **საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა თორნიკე გაჩეჩილაძე** და მოითხოვა შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 08
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 77 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს: 16. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ ფრაქციის თავმჯდომარემ მაია კბილაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ ფრაქციის სახელით დაასახელა, საკრებულოს წევრის **მურად ბურჯანაძის** კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა სხდომაზე არ დასახელებულა.

ფარული კენჭისყრის გასამართად სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
შესვენების შემდეგ საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად **საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მურად ბურჯანაძე** და მოითხოვა შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 09

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 78 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მოისმინეს: 11. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ ფრაქციის თავმჯდომარემ მაია კბილაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ ფრაქციის სახელით დაასახელა, საკრებულოს წევრის **ირინა ტყეშელაშვილის** კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა სხდომაზე არ დასახელებულა.

ფარული კენჭისყრის გასამართად სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
შესვენების შემდეგ საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გ. კოტორეიშვილმა სხდომას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად **საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ირინა ტყეშელაშვილი** და ითხოვა შედეგების დამტკიცება. საკრებულოს სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმი N 10

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 79 03.12.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

მომხრე- 18 წინააღმდეგი -0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

საკრებულოს უხუცესი წევრი: **გურამ ჩხეიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**